# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060156115476115

## ბრძანება №-998

ქ. თბილისი

**23** / დეკემბერი / **2015 წ.**

შპს ,,ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-15 პუნქტისა და საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს ,,ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა ქ. კასპის ცემენტის წარმოების საქმიანობაზე;
2. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში შესაბამისი ცვლილების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს ,,ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა № 7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი

გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000188

კოდი MD 1 „23“ „სექტემბერი“ 2015

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი

შპს „ვაიდელ მარგანეც ჯორჯია“

2. საქმიანობის მიზანი

ცემენტის წარმოება

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ. №2

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია

შპს „წარმოების ეკოლოგია“

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №79 09.09.09

7. ნებართვის პირობები

ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა)

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი ილია ფარსამიძე

ბ.ა. [signature]

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +“
სტს-ს რეგისტრაციის N 26-4034